პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

კვირა, 21 ივნისი 1936 წ. № 142 (4601)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სახკომსაბჭოსი და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა.

პურის და მზესუმზირას საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ გლეხური ვაჭრობის შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. შეწყდეს 1936 წლის 20 ივნისიდან პურისა და მზესუმზირას საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ გლეხური ვაჭრობა, აგრეთვე მარცვლისა და მზესუმზირას შესყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა რაიონში.

2. დადასტურდეს, რომ პურისა და მზესუმზირას საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა ნებადართული იქნება მხოლოდ მთელი რესპუბლიკის მიერ მარცვლისა და მზესუმზირას ჩაბარების, სესხის დაბრუნებისა და მტს-ის ნატურანაზღაურების ჩაბარების გეგმის შესრულების, აგრეთვე კოლმეურნეობათა მიერ სათესლე და მინიმალური სადაზღვევო ფონდების მთლიანად გამოყოფის შემდეგ.

საქ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე — გ. მგალობლიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივანი — ლ. ბერია

1936 წ. 19 ივნისი.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფი

შეუბრალებელი ჩაგვრა და განუკითხავი ექსპლოატაცია, თავხედური კოლონიზაცია და იძულებითი რუსიფიკაცია, მუხანათური თავდასხმები და ერთა შორის შუღლის, მტრობისა და გამცემლობის გაღვივება, მათრახი და ხიშტი,—აი დამახასიათებელი თვისებები რუსეთის თვითმპყრობელობის უხამსი „ნაციონალური პოლიტიკისა", რომელსაც იგი ცეცხლითა და მახვილით ახორციელებდა დამონებული ერების მშრომელთა მიმართ.

ამ მწარე ხვედრს ვერც ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ასცდა. ქართველი თავადაზნაურობა სამღვდელოება და ბურჟუაზია, რომელიც ცარიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა, გულმოდგინედ უწყობდა ხელს მეფის ბიუროკრატიას შუღლის, მტრობის და კაციჭამია ნაციონალიზმის გაღვივებაში, რათა თავისი ბატონობა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა.

არც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის შემდეგ გამოსწორებულა მდგომარეობა. პირიქით, ამიერ-კავკასიაში ბურჟუაზიულ-მემამულურ, ნაციონალისტურ მთავრობათა გამცემლური პოლიტიკის შედეგად ღვივდებოდა მხეცური შოვინიზმი, რასაც მშრომელთა შეიარაღებული შეტაკებები და ხოცვა-ჟლეტა მოსდევდა. 1921 წ. ივლისში, ტფილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე ამხ. სტალინმა ზუსტი და მართებული დახასიათება მისცა ამ მდგომარეობას, როდესაც განაცხადა:

„...ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის ყოფილი სოლიდარობა აღარ არსებობს, გლეხებსა და მუშებში განვითარებულია ნაციონალიზმი, გაძლიერებულია უნდობლობის გრძნობა თავის სხვა-ნაციონალურ ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და სხვა ყოველგვარი ნაციონალიზმი ახლა რამდენიც გნებავთ იმდენია. ძმური ნდობის ძველი ბური კავშირი გაწყვეტილია ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დასუსტებულია. სჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბეიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, ეწეოდნენ რა თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას, მუშაობდნენ რა მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის თანახმად, ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ეს პატარა ქვეყანა ირგვლივ გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროთი... მე უკვე აღარ ვლაპარაკობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე".

მას შემდეგ სულ მცირე დრომ განვლო, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა! ვინ არ იცის, რომ „დემოკრატიული თავისუფლების" „გვირგვინოსნები"—მენშევიკური სატრაპები გროშ-შაურად ყიდდენ ქართველ ხალხს, დასავლეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი ლაქიები იყვნენ, მათ საქართველოს ხალხი თავად-აზნაურობისა და კულაკების ჩაგვრა-ჟლეტის ობიექტად აქციეს, შოვინიზმის, შემტევი ქართული ნაციონალიზმის ატმოსფერო შექმნეს.

საბჭოთა ამიერ-კავკასიაში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ გატარების შედეგად, ეროვნებათა ურთიერთობა რადიკალურად შეცვლილია. საბჭოთა ამიერ-კავკასია, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე ნამდვილად გახდა, როგორც დიდი ლენინი მოგვიწოდებდა, „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის საუკეთესო მაგალითი".

და ახლა, როდესაც გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალოდ შესვლას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში,—ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მან უდიდესი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის ერთა ძმური კავშირის გამაგრება-განმტკიცებაში, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებაში, რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე გამარჯვებებისათვის ბრძოლაში.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა, ჯერ ცარიზმისა და შემდეგ მენშევიკთა, მუსავატელთა და დაშნაკთა ბატონობის შედეგად მემკვიდრეობად მიიღეს განადგურებული, გაპარტახებული მეურნეობა.

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების პირველ პერიოდში დაჟინებით მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შეერთებულ საქმიანობას სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციისა და მეურნეობის აღმავლობისათვის, ისეთი სპეციალური ორგანოს შექმნას, „რომელიც შესძლებდა ეროვნებათა შორის ურთიერთობის რეგულირებას" (სტალინი), მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო ღონისძიებებს იმისათვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინათ მენშევიკთა, დაშნაკთა, და მუსავატელთა კონტრრევოლუციური პარტიები". (ბერია).

და მართლაც, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ამხ. ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეასრულეს ლენინ-სტალინის მითითებანი და რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ხოლო შემდეგ ამხ. ბერიას მებრძოლი ხელმძღვანელობით, მტკიცედ და განუხრელად განახორციელეს დიდი სტალინისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის ოქტომბრის მითითებები ნაციონალურ რესპუბლიკათა ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლის შესახებ, რამაც მტკიცე ნიადაგი მოამზადა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის.

ყოველივე ეს მოპოვებულ იქნა ნაციონალ-უკლონიზმთან შეუპოვარი ბრძოლისა და მათი განადგურების პირობებში; მათ არ ესმოდათ იმ პერიოდის მთელი თავისებურება და ილაშქრებდნენ ფედერაციის წინააღმდეგ, ისინი დაეშვნენ ქართველ მენშევიკთა, სომეხ დაშნაკთა და აზერბეიჯანელ მუსავატელთა პოზიციებზე, ბევრმა კი შემდეგ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ბანაკშიაც ამოჰყო თავი.

როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნა ამხ. ბერიამ, ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში წარმოადგენდა მემარჯვენე ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, მენშევიკური და კულაკური ელემენტების ზეგავლენას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ცალკეულ ფენებზე, რომ ის წარმოადგენდა შემტევ შოვინიზმს, რომელიც გამოხატავდა ქართველი მენშევიკებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების დიდმპყრობელურ შოვინიზმს,—რომ ისინი აგრარულ-გლეხურ საკითხში გამოხატავდნენ ქართველ თავად-აზნაურთა და კულაკთა ინტერესებს და რომ მათ კონტრრევოლუციურ მენშევიზმთან ბრძოლის საკითხებში აშკარად ლიბერალურ-შემარიგებლური პოზიცია ეჭირათ.

დღეს მტკიცედ და ამაყად დგანან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. რესპუბლიკებსა და მათ სახელოვან ხელმძღვანელებს ამშვენებს საბჭოთა კავშირის ჯილდოები—ორდენები. საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მკვეთრად მოსჩანან როგორც მოწინავე რესპუბლიკები, როგორც მეორე ხუთწლედის მარგალიტი, სადაც სამური ცხოვრება იფურჩქნება. გაიზარდა ხალხთა კულტურა. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა და მშრომელებმა ნამდვილად შექმნეს და დაამყარეს ურყევი მეგობრობა, აღმოფხვრეს ურთიერთ შორის ნაციონალური შუღლი დიდი და მტკიცეა ეს მეგობრობა მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მასების მშრომელებთან.

აზერბეიჯანისა და სომხეთის კომპარტიების (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტების მდივნებისათვის, ამხ. ბაგიროვისა და ხანჯიანისათვის ტფილისის პარტაქტივის მიერ გაგზავნილი მისალმებანი, რომელნიც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების მოწოდებას წარმოადგენდნენ, ამავე დროს საბჭოთა საქართველოს ყველა პატიოსანი მშრომელის—მუშის, კოლმეურნისა და ინტელიგენტის სურვილების საუკეთესო და ნამდვილი გამოხატულებაცაა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგიერთი ყოფილი ნაციონალ-უკლონისტი, ერთ დროს ა.-კ. ფედერაციის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, ახლა არ შეეცდება ჩუმ-ჩუმად ილაყბოს, ვითომ ფედერაციის გაუქმება მათი წინანდელი „სიმართლის" დადასტურებაა. მეორე მხრივ დიდმპყრობელური ელემენტებიც და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერი, პირველ რიგში ტროცკისტ-ზინოვიეველთა განადგურებული ჯგუფების ნაშთებიდან, შეეცდებიან გაილაშქრონ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის სტალინური კონსტიტუციის წინააღმდეგ. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მათ წინააღმდეგ ვაწარმოოთ შეუპოვარი და გამანადგურებელი ბრძოლა, გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე და მივაღწიოთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობის უფრო მეტად განმტკიცებას ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელებით.

ხალხთა ძმური ერთობის დიადი ლენინურ-სტალინური პრინციპი მტკიცედ შეიჭრა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ყოველ მშრომელთა გულში და არავითარ ძალას არ შეუძლია შეარყიოს ამიერ-კავკასიის ხალხთა დიადი მეგობრობა, მათი განუსაზღვრელი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი და მისთვის თავდადება. გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას და საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას. საქართველოს ბოლშევიკები კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვებენ მშრომელ მოსახლეობას ლენინ-სტალინის ინტერნაციონალური დროშის ქვეშ და განუხრელად იბრძოლებენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური ერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალიზმის დიადი საქმისათვის, კომუნიზმისათვის.

მაქსიმ გორკი

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის კუბოსთან

მოსკოვი, 20 ივნისი. ჯერ კიდევ გუშინ გვიან ღამით ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ცხედარი სამგლოვიარო ავტომობილით მოასვენეს გორკიდან მოსკოვში და დაასვენეს კავშირთა სახლში. კუბო დაასვენეს სვეტებიან დარბაზში აურაცხელი ყვავილებით მოფენილ მაღალ პოსტამენტზე. პოსტამენტი და კუბო.

კუბოსთან სდგება პირველი საპატიო ყარაული: დემიან ბედნი, ვსევოლოდ ივანოვი, სტავსკი, კირშონი.

ადამიანთა ტალღა განუწყვეტლივ მოედინება. მოდიან მუშები, სამხედრო პირები, რკინიგზელები, მასწავლებელნი, სტუდენტები, დიასახლისები, ინჟინრები, პიონერები, მოწაფენი. ალექსი მაქსიმეს-ძეს უყვარდა ბავშვები. იგი იყო მათი საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი.

მოდიან დელეგაციები, რომლებიც დროშებს ხრიან მშრომელთა მეგობრის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლის, რუსეთის დიდი მწერლის ცხედრის წინაშე.

დროგამოშვებით დარბაზში შემოაქვთ გვირგვინები, მათ შორის არის გვირგვინები: საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსი, სსრ კავშირის ცაკისა, ამხანაგების: ლ. მ. კაგანოვიჩისა, კ. ე. ვოროშილოვისა, ნ. კ. კრუპსკაიასი და მ. ი. ულიანოვასი, გ. გ. იაგოდასი, წითელი არმიის, მწერალთა კავშირის, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საოლქო აღმასკომისა და მოსკოვის საბჭოსი, თეატრებისა, მახლობელ-ნათესავებისა და სხვ.

16 საათსა და 30 წუთზე კუბოს თავთან საპატიო ყარაულად დგება ამხანაგი **სტალინი.** სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადთან ერთად სამგლოვიარო ვახტს ასრულებენ ამხანაგები: **მოლოტოვი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, ეჟოვი და ხრუშჩოვი.**

სრულ 21 საათზე, როდესაც 500 ათასმა კაცმა მოასწრო ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის კუბოსთან გავლა, მოძრაობა სწყდება.

საპატიო ყარაულებად რჩებიან მიცვალებულის ნათესავები და უახლოესი მეგობრები.

დადგა უკანასკნელი გამოთხოვების ჟამი. სახურავი სამუდამოდ ჰფარავს საყვარელ და ძვირფას სახეს. სამგლოვიარო სიმფონიას სცვლის „ინტერნაციონალის" ძლიერი ჰანგები. კუბოს ლაფეტზე დაასვენებენ. სამგლოვიარო პროცესია წყნარად დაიძვრება. კრემატორიუმამდე ქუჩები ხალხით არის გაჭედილი.

—:—

ღამით მოხდა ამხ. ა. მ. გორკის ცხედრის კრემაცია.

ა. მ. გორკის ტვინი

მოსკოვი, 19 ივნისი. გუშინ 18 ივნისს ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ტვინი მიიტანეს მოსკოვის ტვინის ინსტიტუტში. ალექსი მაქსიმეს-ძის ტვინს გამოძერწავენ. ნაძერწი სამუდამოდ შეინახავს და ზუსტად აღბეჭდავს გორკის ტვინის ფორმას და ოდენობას.

შემდეგ მას მეცნიერულად დაწვრილებით გამოიკვლევენ.

◇ ◇ ◇

რომენ როლანის წერილი

მოსკოვი, 20 ივნისი. რომენ როლანმა ვილნევიდან (შვეიცარიიდან) „პრავდასათვის" ტელეფონით გადმოგზავნა შემდეგი წერილი:

— მწუხარება, რომელმაც მომიცვა, როცა შევიტყვე ძვირფასი მეგობრის, ერთი იარაღით თანამებრძოლის, 20 წლის განმავლობაში ჩემი ამხანაგის გარდაცვალება, ნებას არ მაძლევს მის შესახებ ახლა სტატია დავწერო. ეს მწუხარება ამჟამად მხოლოდ მეტად მწვავე მოგონებებს აღმიძრავს მის შესახებ.

განშორების ამ მძიმე ჟამს გორკი წარმოსდგება არა როგორც დიდი ადამიანი და საყოველთაოდ ცნობილი მწერალი, არა მისი ცხოვრების ბრწყინვალე გზა და მძლავრი შემოქმედებაც კი. მე მაგონდება [illegible] ზაფხული, მასთან ერთად რომ გავატარე, ჩვენი განშორების ჟამი მოსკოვის ვაგზალზე 1935 წლის 5 ივლისს, გორკის შემოხედვა, დაკვირვებით რომ მიცქეროდა, მისი სინაზით აღსავსე თვალები, მისი მკერდიდან მომდინარე ალერსიანი ხმა. მე მაგონდება მისი [illegible], მისივე [illegible] სილუეტი, რომელიც მის [illegible] ... მე მაგონდება მისი ახალგაზრდული ცეცხლი, მისი აღფრთოვანებული ენთუზიაზმი, როდესაც ლაპარაკობდა ახალი ქვეყნის შესახებ, რომლის შენებაშიც მონაწილეობას იღებდა. მე მაგონდება მისი დიდი გულკეთილობა, რომლის სიღრმეში [illegible] იყო ქვეყანა.

ახლა მე მშურს დუმილი, მაგრამ [illegible] უფრო ახლოს ყოფნა მასთან იმ მარადის მდუმარობაში, სადაც მისი დიადი სული წავიდა.

მაგრამ უფლება არა მაქვს დავმალო ჩემი გულისტკივილი, ჩემი სათუთი გრძნობა. ყველა ადამიანთა წინაშე მივმართავ გორკის მოწაფეებისა და მწუხარების [illegible] მოსალმებით.

მე მხოლოდ ერთი ვარ იმ მილიონთაგან, რომელთათვისაც გორკის სიკვდილი კაცობრიობის უდიდესი დანაკლისია ლენინის სიკვდილის შემდეგ.

სიტყვის მსოფლიო ოსტატთაგან გორკი იყო პირველი, უმაღლესი ოსტატი, რომელიც გზას უკაფავდა პროლეტარულ რევოლუციას, რომელსაც მან მოახმარა მთელი თავისი ძალები, თავისი დიდების პრესტიჟი და იმ ადამიანის ცხოვრების მდიდარი გამოცდილება, რომელმაც ბავშვობიდანვე იგემა ის სილატაკე და დამცირება, რაც დამონებული პროლეტარიატის ხვედრს შეადგენს. გორკი [illegible] ჯოჯოხეთიდან გამოვიდა. მაგრამ ის იქიდან მარტო როდი გამოსულა. მან გამოიყვანა, მან იხსნა თავისთანავე ტანჯული ამხანაგები.

არცერთ დიდ მწერალს არ შეუსრულებია მასზე უფრო მაღალი როლი. გორკი იყო ლიტერატურისა, ხელოვნებისა და მეცნიერების უზენაესი ხელმძღვანელი სსრ კავშირში. ის იყო მათი ბელადი, ბევრის [illegible] მასწავლებელი, მათი დამცველი.

მან თავისი ფართო გონება და თავისი უსაზღვრო გულკეთილობა შესწირა საბჭოთა მთავრობას, რომელიც მის ღრმა პატივს სცემდა და რომლის ბელადებიც მისი საყვარელი მეგობრები იყვნენ.

ის მოკვდა სწორედ იმ ჟამს, როდესაც დამთავრდა საბჭოების გამარჯვების დამაგვირგვინებელი საქმე,—როდესაც შეიქმნა დიდი კონსტიტუცია, ყველაზე ადამიანური და ყველაზე თავისუფალი იმ კონსტიტუციათაგან, რომელიც კი ოდესმე ჰქონია რომელიმე ხალხს.

გუშინ საღამოს გულისტკივილით ვისმენდი რადიოთი მოსკოვიდან ბეთჰოვენის მწუხარე სამგლოვიარო მარშს და მკაცრ სიტყვებს, რომელნიც იუწყებოდნენ გორკის გარდაცვალებას და მე თავს ვგრძნობდი მოსკოვში მილიონ კაცსა და ქალს შორის, რომლებიც მწუხარებით იყვნენ შეპყრობილნი. თითქოსდა მთელი წუხანდელი ღამე საპატიო ყარაულში ვიდექი მიცვალებული მეგობრის კუბოსთან.

ხვალ ჩემს მხრებზე ვიგრძნობ მისი კუბოს სიმძიმეს, რომელსაც მე წავიღებდი, მოსკოვში რომ ვყოფილიყავი.

მეგობრებო! გავაერთიანოთ ჩვენი მწუხარება და ჩვენი მოწიწება გორკის წინაშე! რაც უნდა პატივს ვცემდეთ ამ დიდი ადამიანის დიდებას, რომლის სახელიც ეწოდა სსრ კავშირის ერთერთ უდიდეს ქალაქს, გორკის საუკეთესო განსასვენებლად ყველაზე მშვენიერი, ყველაზე წმინდა ადგილი ჩვენი გული იქნება.

რომენ როლანი

მეტად გვიან...

მოსკოვში ჩემი ჩამოსვლის სიხარული თითქმის სრულიად უცბად გააქრო თავზარდამცემმა ამბავმა. ვიცი, იგი უკვე დიდი ხანია ძალიან ავად იყო. საფრანგეთის გაზეთები ყოველდღე აქვეყნებდნენ გორკის ჯანმრთელობის ბიულეტენს; მაგრამ ჩვენ გორკიში ვხედავდით სიცოცხლესთან უჩვეულო [illegible] განსახიერებას და იმედს არ ვკარგავდით; მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობდით, რომ სიკვდილი უკან უნდა დაიხია ასეთი მხნეობის წინაშე... მაინც შეშფოთებულმა, სასწრაფოდ დავსტოვე პარიზი იმ იმედით, რომ მას ვნახავდი... მთელი მსოფლიოს უდიდესი მგლოვიარების ჟამს — როგორ გავბედო და ვილაპარაკო საკუთარ სევდაზე: იგი, ვისაც უკვე მეგობარს ვუწოდებდი — აღარა გვყავს.

ანდრე ჟიდი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇

ტფილისის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი

20 ივნისი, რუსეთის დიდი მწერლისა და კომუნიზმისათვის მებრძოლის—მაქსიმ გორკის დაკრძალვის დღე, ტფილისის მშრომელებმა აღნიშნეს მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო მიტინგით, რომელიც გაიმართა სახელმწიფო ოპერის თეატრში. მიტინგს დაესწრნენ ამხ. ფ. მახარაძე, [illegible], [illegible], გ. ტორომელიძე, გ. სტურუა, [illegible], მწერლები: ნიკო ლორთქიფანიძე, [illegible] ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, ს. ეული, [illegible], [illegible], ა. აბაშელი, [illegible], ს. ჩიქოვანი, [illegible] და სხვ.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. [illegible].

გარდაცვლილის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გ. ტორომელიძემ.** მან აღნიშნა გორკის დამსახურება კულტურისა და ლიტერატურის წინაშე და ის დიდი სიყვარული, რომლითაც განსვენებული მსოფლიოს მშრომელებში სარგებლობდა.

[illegible] მუშათა კოლექტივის დავალებით მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მუშა ამხ. ესაკია.

— ჩვენი მუშები, რომელთა შორისაც ერთ დროს [illegible] მუშაობდა მხატვრული სიტყვის გენიალური ოსტატი. მაქსიმ გორკი,—სთქვა ამხ. ესაკიამ, განსაკუთრებული სიმძიმით განიცდიან იმ დიდ დანაკლისს. აღარა გვყავს საყვარელი მწერალი, რომელიც ყოველთვის ანთებდა ჩვენს გულს, რომლის ნაწარმოებნიც ყოველთვის გვახალისებდა ახალი და ბედნიერი ცხოვრების შენებისათვის ბრძოლაში. გიძლევით ფიცს, რომ შეუპოვრად ვიბრძოლებთ იმ იდეების საბოლოოდ განხორციელებისათვის, რომელთა შესახებაც სწერდა და მოღვაწეობდა მუშათა კლასის დიდი მომღერალი, ჩვენი საყვარელი მწერალი მაქსიმ გორკი.

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა **ს. ჩიქოვანმა.** მან აღნიშნა ის დიდი მწუხარება, რომელიც ამ დიდი ჰუმანისტისა და მხატვრის გარდაცვალებამ საქართველოს მწერლებში გამოიწვია.

სამგლოვიარო მიტინგის დასასრულს სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა შოპენის მარში და „ინტერნაციონალი".

○ ○ ○

ქართველ მწერალთა სამგლოვიარო სხდომა

გუშინ, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგა უდიდესი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სხდომა.

სხდომა გახსნა საქ. განათლების სახალხო კომისარმა და საქ. საბჭოთა მწერლობის კავშირის თავმჯდომარემ ამხ. აკ. თათარიშვილმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში შემდეგი განაცხადა:

— საბჭოთა ლიტერატურამ გორკის სახით დაჰკარგა უბადლო ბელადი და ხელმძღვანელი. შეჩერდა უდიდესი ლიტერატურული მუშაობა, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეწეოდა განსვენებული, ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურამ, რომელიც ღებულობს გორკის უდიდეს მემკვიდრეობას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უნდა შეავსოს და გამოასწოროს ეს დანაკლისი. გორკის სიცოცხლე და მოღვაწეობა მაგალითი უნდა გახდეს თვითეული საბჭოთა მწერლისათვის. გორკი უაღრესად კარგად იცნობდა ცხოვრებას, კარგად იცნობდა თემას, რაზედაც ის სწერდა, სიტყვის უბადლო ოსტატი განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა ენის სიწმინდეს. ის იყო ყოველი ჩაგრულის ნამდვილი ღვიძლი მეგობარი და მოქომაგე, ამიტომ უყვარდა ის ლენინს, ამიტომ გახდა ის სტალინის დიდი მეგობარი.

ორდენოსანმა მწერალმა მ. ჯავახიშვილმა აღნიშნა გორკის უდიდესი დამსახურება რუსული პროზის ახალ მწვერვალზე აყვანის საქმეში. — მ. გორკი ცალკე დგას, მან სრულებით ახალი სამყარო გადაშალა, შეუდარებლად გადმოსცა „ფსკერის" ადამიანების კოშმარული ცხოვრება, გადმოსცა მაღალ მხატვრულ ფორმებში, მან პირველმა დახატა რუსეთში პროლეტარიატის მებრძოლი გმირები შეუდრეკელნი და უშიშარნი. მ. გორკი სავსებით ახალი მოვლენა იყო რუსულ ლიტერატურაში, ამიტომ მოიხვეჭა მან ლიტერატურის სარბიელზე გამოსვლიდან რაღაც 4-5 წლის განმავლობაში დიდი მწერლის სახელი და პოპულარობა, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის სხვა კორიფეები ზოგჯერ ათეულ წლებს ანდომებდნენ. მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე გორკიმ გვითხრა, პუშკინის შემოქმედება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა საკუთრებას წარმოადგენსო. ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ მ. გორკის ლიტერატურული მემკვიდრეობაც ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, მსოფლიო პროლეტარიატს.

— გორკი იყო უდიდესი მწერალი, მაგრამ ამავე დროს ის იყო უდიდესი რევოლუციონერიც, — განაცხადა მწერალმა ლეო ქიაჩელმა, —მან პირველმა უმღერა რევოლუციის მოახლოებულ ქარიშხალს. გენიალური შემოქმედი რევოლუციის განთიადზე საუკეთესოდ გრძნობდა დიდ სოციალურ კატასტროფების მოახლოებას. იგი გრძნობდა და განიცდიდა მუშათა კლასის საბრძოლო ძალას და ენერგიას, ის მეტად ახლოს იდგა ბოლშევიზმის ძირითად პრინციპებთან. ეს გარემოება განსაკუთრებით ამშვენებს მის დიდს პიროვნებას.

გერცელ ბააზოვმა განიხილა გორკის დრამატიული ნაწარმოები, — ოსტროვსკის და ჩეხოვის შემდეგ რუსული დრამატურგიის განვითარებას სათანადო კვალი დაამჩნია მ. გორკიმ. მისი პიესა, „ფსკერზე" იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა.

— გორკის მოთხრობები ოპტიმისტური სულითაა გაჟღენთილი —განაცხადა ალი არსენიშვილმა. მ. გორკიმ დაუდო დასასრული რომანტიულ სევდას რუსულ პროზაში, რომელიც მისი წინათაობის შემოქმედების ლეიტმოტივს წარმოადგენდა, გორკის მებრძოლი ოპტიმიზმი მთლიანად გამოხატავს რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატის სულიერ განწყობილებას. რომანი „დედა" მსოფლიო ლიტერატურის უბადლო ძეგლია. ამ რომანში გორკიმ პირველმა დახატა შეუდრეკელი მებრძოლი ბოლშევიკის დაუვიწყარი სახე. მ. გორკის ნაწარმოები დიდი ინტერესით იკითხება დღესაც. მას არ შეხებია და არც არასოდეს შეეხება მოძველება და სიბერე.

დასასრულს სხდომაზე მ. გორკისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა სანდრო ეულმა. —

მსოფლიოს გლოვა

გამოხმაურება ა. მ. გორკის გარდაცვალების გამო

საფრანგეთი

პარიზი, 19 ივნისი. გორკის გარდაცვალების ცნობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში. დღეს გორკის სურათი მოთავსებულია გაზეთების პირველ გვერდზე. პარიზის ყველა ყოველდღიურმა გაზეთმა მას სტატია უძღვნა. ზოგ გაზეთს, რასაკვირველია, არ შეუძლია აპატიოს გორკის მისი ბოლშევიზმი, მისი უდიდესი როლი სოციალისტური კულტურის შექმნაში, მისი ხანგრძლივი მეგობრობა ლენინთან და სტალინთან. მაგრამ ვერავინ, საბჭოთა კავშირის თვით შეურიგებელი მტრებიც კი, ვერ უარყოფენ მისი მხატვრული გენიის ძლიერებას.

იაპონია

ტოკიო, 19 ივნისი. გაზეთებს მოჰყავთ გორკის ცხოვრების დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები. ისინი აღნიშნავენ, რომ გორკის ნაწარმოებთა უმრავლესობა თარგმნილია იაპონურ ენაზე და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის საზოგადოების „ნიციერო კიოკაის" გამგეობამ სამძიმარი გამოუცხადა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. იურენევს. სრულუფლებიან წარმომადგენლობასა და სავაჭრო წარმომადგენლობაში გაიმართა თანამშრომელთა სამგლოვიარო კრებები.

ინგლისი

ლონდონი, 19 ივნისი. დღეს ინგლისის ყველა გაზეთმა მოათავსა გორკის გარდაცვალების ცნობა, აგრეთვე ვრცელი ნეკროლოგები და ფოტოგრაფიები.

„დეილი ტელეგრაფი" სწერს, რომ „გორკი რევოლუციის მწერალი იყო, და ის მოთხრობები, რომლებმაც გორკის სახელი გაუთქვეს, ყოველთვის ყველაზე უფრო დამარწმუნებელი ბრალდება იქნება მეფური რეჟიმის წინააღმდეგ".

„ტაიმსი" გორკიზე ლაპარაკობს როგორც ისეთ ადამიანზე, რომელსაც ჰქონდა უდიდესი ძალა, აღსავსე იყო მგზნებარე სიყვარულით და სიძულვილით, რისაც მისი თხზულებანი ასე დამარწმუნებელს ხდიდა.

„მორნინგ პოსტი" გორკის ახასიათებს, როგორც „თანამედროვე ლიტერატურის ერთერთ ძირითად ძალას".

„დეილი ჰერალდი" სწერს:

„იგი იყო დიდი რეალისტი, დიდი მწერალი და დიდი ადამიანი".

„მანჩესტერ გარდიანი" ხაზს უსვამს გორკის პიროვნების სიძლიერეს და მშრომელთა დასაცავად გამოსვლებმა მას ხალხში ფართო პოპულარობა, ხოლო მეფის მთავრობის მხრით სიძულვილი მოუპოვა.

„დეილი უორკერი" აცხადებს:

„ინგლისის მუშებისა და ყველა იმის სახელით, ვინც იბრძვის მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის, ახალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, რაც მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია მოგვცეს, ჩვენ ძირს ვხრით ჩვენს დროშებს მაქსიმ გორკის საფლავზე".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 19 ივნისი. გორკის გარდაცვალების ცნობამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია ჩეხოსლოვაკიაში.

სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ღებულობს სამძიმარს ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელი მოღვაწეებისაგან, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ყველა კუთხიდან—სხვადასხვა ორგანიზაციისა და ცალკე პირებისაგან.

მრავალი დღიური გაზეთი გამოვიდა პირველ გვერდზე შავ არშიაშემოვლებული. გორკის გარდაცვალებას გამოეხმაურნენ ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი მწერლები და პუბლიცისტები. ყველა ისინი აღნიშნავენ საბჭოთა კავშირისა და მთელი კულტურის უდიდეს დანაკლისს. გაზეთები ხაზს უსვამენ: ჩეხოსლოვაკიამ უფრო მეტად განიცადა ეს დანაკლისი, რომ გორკი მრავალმხრივ იყო დაკავშირებული ჩეხოსლოვაკიასთან, მრავალგზის იწვია ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. პრესა აგრეთვე აღნიშნავს, რომ გორკი ჩეხოსლოვაკიის მწერალთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა. 1901 წლიდან მოყოლებული—გორკის ყველა თხზულება ითარგმნება ჩეხურ ენაზე; მის თხზულებათა კრებული რამდენიმეჯერ გამოიცა.

გერმანია

ბერლინი, 19 ივნისი. მიუხედავად გორკის იდეებისადმი დაუფარავი მტრობისა, გაზეთები დიდი პატივისცემით იხსენიებენ მიცვალებულს. ყველა გაზეთი ფაშისტური ოფიციოზის „ფელკიშერ ბეობახტერის" გამოკლებით, გორკის უძღვნის ნეკროლოგებს და სტატიებს. გაზეთები წინ აყენებენ გორკის ლიტერატურულ მოღვაწეობას; ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ იგი, როგორც მაგალითად, „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს, „იყო თანამედროვე რუსული და მსოფლიო ლიტერატურის პირველ რიგში".

ავსტრია

ვენა, 19 ივნისი. ავსტრიის ყველა გაზეთი [illegible] გორკის გარდაცვალების ცნობას, აგრეთვე გორკის სურათსა და სტატიებს მის შესახებ. „ნოიე ფრეიე პრესსე", [illegible] გორკის ადრეულ ნაწარმოებებს, ხაზს უსვამს მათ განსაკუთრებულ ძალას და სიმართლეს, მათ რევოლუციურ ხასიათს.

პოლონეთი

ვარშავა, 19 ივნისი. პოლონეთის რადიომ გამოაქვეყნა პოლონეთის სააგენტოს ვრცელი ცნობა გორკის გარდაცვალების შესახებ. ცნობაში განსაკუთრებით აღნიშნულია გორკის თანამშრომლობა ლენინთან და სტალინთან. „საბჭოთა მთავრობის ყოველგვარი მხარდაჭერით გარშემორტყმული, — ნათქვამია ცნობაში, —გორკი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში რუსეთის ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილი და უდიდესი ავტორიტეტი იყო".

გაზეთების უმრავლესობა ათავსებს ცნობას გორკის გარდაცვალების შესახებ, აგრეთვე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიებს.

ლატვია

რიგა, 19 ივნისი. გორკის გარდაცვალებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით დამწუხრებული არიან აქ მწერლები, რომლებიც სიმპატიით ეპყრობიან სსრ კავშირს. გაზეთები გორკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნარკვევებში აღნიშნავენ, რომ გარდაიცვალა უდიდესი საბჭოთა და მსოფლიო მწერალი.

შვეცია

სტოკჰოლმი, 19 ივნისი. დღეს შვეციის ყველა გაზეთი გორკის გარდაცვალების გამო [illegible] ლიტერატორთა, [illegible] და კრიტიკოსთა დიდ სტატიებს. ამ სტატიებში დაწვრილებით განიხილავენ მაქსიმ გორკის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებს.

საბერძნეთი

ათინა, 19 ივნისი. მთელი საბერძნეთის პრესა გორკის გარდაცვალების გამო ათავსებს ვრცელ ნეკროლოგებს და გარდაცვლილის პორტრეტებს. გაზეთები აქვეყნებენ გარდაცვლილი დიდი პროლეტარული მწერლის ბიოგრაფიას და ცნობებს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ამერიკა

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. გორკის გარდაცვალებამ დაამწუხრა მოსახლეობის ფართო ფენები შეერთებულ შტატებში, სადაც მის ნაწარმოებს ფართოდ იცნობენ. მრავალი მუშათა ორგანიზაცია და [illegible] მწერლების გამოსვლებს დიდი [illegible] გარდაცვალების გამო. პრესა ათავსებს ნეკროლოგებს და ხაზგასმით აღნიშნავს [illegible] გორკის მიერ ლიტერატურაში შეტანილ უძვირფასეს განძს, არამედ დიდი [illegible] აგრეთვე მის მოღვაწეობას—კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლას.

□ □ □

მოსკოვი

(რადიოგრამა საქ. კორესპონდენტისაგან).

„თქვენი" კორესპონდენტმა ტელეფონით გამოეხმაურა საქალაქო საბჭოს ქ. გორკისას, რომელთანაც ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალექსი მაქსიმეს-ძის ცხოვრება.

ქალაქის საბჭოს წარმომადგენელმა ილაპარაკა იმ ღრმა მწუხარებაზე, რომელმაც ქალაქის მოსახლეობა მოიცვა. მთელი ქალაქი სამგლოვიარო დროშებითაა მორთული. ქალაქის საბჭოს შენობაზე გამოკრული [illegible]. 18, 19 და 20 ივნისი გამოცხადებულია სამგლოვიარო დღეებად. ქალაქის საბჭომ გორკის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს დელეგაცია გაგზავნა. ქალაქში დაიდგმება დიდი მწერლის ძეგლი. გადაწყვეტილია მოახდინონ იმ სახლის რესტავრაცია, რომელშიაც ალექსი მაქსიმეს-ძე დაიბადა.

○

ცნობილმა გერმანელმა მწერალმა და რევოლუციონერმა იოჰანეს ბეხერმა თქვენს კორესპონდენტს განუცხადა:

— მაქსიმ გორკი უწინარეს ყოვლისა დიადი ხასიათის პატრონი იყო. თანამედროვე ლიტერატურაში მას უდიდესი ადგილი ეკუთვნის. [illegible] მაშინ, როცა [illegible] პირველად [illegible] მოსდგა ფეხი საბჭოთა კავშირის მიწაწყალზე. ეს დიდი ფრანგი მწერალი რევოლუციასთან სულ სხვა გზით მივიდა. მაგრამ იგი დღეს თანამოაზრეა დიდი მიცვალებულისა, [illegible] მისწრაფებებით—შეიქმნას [illegible] სოციალისტური საზოგადოება. მაქსიმ გორკი გარდაიცვალა მაშინ, როცა სსრ კავშირის ხალხთა მილიონები სტალინური კონსტიტუციის პროექტს იხილავენ. [illegible] ურიცხვ ხელმოწერათა შორის ამ პროექტზე პირველ რიგებში ბრწყინავს მაქსიმ გორკის სახელი.

○

გერმანელმა რევოლუციურმა მწერალმა [illegible] თქვენს კორესპონდენტს განუცხადა:

— [illegible] ცნობამ, რომ გარდაიცვალა გორკი, რომელიც მთელს სიცოცხლეში თავის ნიჭს [illegible] კაცობრიობას. [illegible] დიდი [illegible] თავის [illegible] წინაშე. [illegible] ჩვენი [illegible] გორკის სახელი [illegible].

საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს მშრომელთ, რომ გარდაიცვალა რუსეთის დიდი მწერალი, მშრომელთა საყვარელი მეგობარი, კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლი

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი

კამათი თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

იდენის სიტყვა

ლონდონი, 18 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე თემთა პალატაში დაიწყო საგარეო საქმეთა მინისტრ იდენის სიტყვით.

როგორც იდენმა აღნიშნა, ის მიზნები, რომელთა გულისათვის სანქციები შემოიღეს, ვერ იქნა მიღწეული. ინგლისის მთავრობა,—განაგრძო იდენმა,—გულმოდგინედ მოიფიქრებს შემდეგ და ჩემის აზრით, რომელიც მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, მოვალეობად მიმაჩნდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიზანშეუწონელია შემდეგშიაც ძალაში დატოვოთ სანქციები, როგორც იტალიაზე ზემოქმედების საშუალება.

ერთა ლიგას რომ შეეძლოს მიაღწიოს იმ მიზნებს, რომელთა გულისათვის იგი შეიქმნა,—განაგრძობს იდენი,—იგი მზად უნდა იყოს გაატაროს სრულიად სხვა ღონისძიებანი, ვიდრე ის ღონისძიებანი, რომლებსაც იგი დღემდე მიმართავდა. თუ ერთა ლიგას სურს შეჰქმნას აბისინიაში მშვიდობიანობა, რომელიც მის საძირკვლიან მისწრაფებებს შეესაბამება, ლიგამ უნდა მიიღოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც გარდუვალად გამოიწვევენ ომს ხმელთაშუა ზღვაზე, ამასთან ვერავინ იტყვის, რომ ასეთი ომი ხმელთაშუა ზღვით შემოიფარგლება. მე საფუძველი არა მაქვს ვიფიქრო, რომ ერთა ლიგა ასეთ ღონისძიებას ამჯობინებს. საფუძველი არ მაქვს ვიფიქრო, რომ ინგლისს, რომელსაც ამგვარი ომის შემთხვევაში ყველაზე მეტი ტვირთი დააწვებოდა, ასეთი გამოსავალი სურდეს.

როცა იდენმა განაცხადა, სანქციების შენარჩუნება მიზანშეუწონელიაო, ოპოზიციის სკამებიდან გაისმა ძლიერი შეძახილები: „სირცხვილია", „გადადექით".

იდენი განაგრძობს სიტყვას საპროტესტო შეძახილებში. მან გაიმეორა ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს მთავრობა მიეღო ეს გადაწყვეტილება. როგორც მან განაცხადა, ყველა აღიარებს, რომ სანქციების ძალაში დატოვება ვერ აღადგენს წინანდელ მდგომარეობას აბისინიაში. ეს მდგომარეობა,—სთქვა იდენმა,—შეიძლება აღდგენილ იქნას მხოლოდ სამხედრო მოქმედებით, ხოლო დღემდე, რამდენადაც მე ვიცი, არც ერთი სხვა მთავრობა და, იგულისხმება, არც ინგლისის მთავრობა, არ აპირებს ასეთი სამხედრო მოქმედების დაწყებას.

სანქციების შენარჩუნება რაიმე ზუსტად განსაზღვრული მიზნის უქონლად მხოლოდ გამოიწვევდა სანქციონისტური ფრონტის დაშლას, ასე რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ერთა ლიგა კიდევ უფრო დამამცირებელ მდგომარეობის პირისპირ აღმოჩნდებოდა, ვიდრე ის მდგომარეობაა, რომლის წინაშეც იგი ამჟამად დგას".

შემდეგ იდენმა განაცხადა, რომ ეფექტიანი ანალიზი გავუკეთოთ იტალია-აბისინიის კონფლიქტის გაკვეთილებს, რათა ისინი ერთა ლიგის მომავალ საქმიანობაში გავითვალისწინოთ.

იდენი შეეხო იმ მოლაპარაკებას, რომელსაც ინგლისის მთავრობა აწარმოებს გერმანიის მიერ რეინის ოლქის რემილიტარიზაციის შემდეგ. მან განაცხადა: „მთავრობა ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს მალე მიიღოს პასუხი გერმანიის მთავრობისაგან. ეს პასუხი, იმედი გვაქვს, საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ პროგრესს მოლაპარაკებაში, რომლის წარმატებით დამთავრება ჩვენი პირველი ამოცანაა.

ვერავინ უარჰყოფს, რომ იტალია-აბისინიის კონფლიქტი და გერმანიასთან მოლაპარაკება უმთავრესია ახლანდელ მდგომარეობაში. ზოგიერთ წრეებში, ალბათ არის ტენდენცია გვერდი აუარონ ერთ პრობლემას და მთელი ყურადღება მიაპყრონ მეორეს. მთავრობა ამაზე ვერ წავა. მე აღვიარებ, რომ ინგლისში ბევრია ისეთი ადამიანი რომლებმაც ძლიერი [illegible] გაუწიეს მთავრობას იტალია-აბისინიის კონფლიქტში, აგრეთვე [illegible]. მე, კარგად მესმის მათი იმედგაცრუება ახლანდელი ამბების გამო. როგორც ერთა ლიგის გულწრფელი მომხრე, მე ამ იმედგაცრუებას ვიზიარებ. მაგრამ ვფიქრობ, უფლება მაქვს ვთხოვო თემთა პალატის ყველა წევრს განიხილონ ეს პრობლემა მთლიანად. სწორედ ამ პერსპექტივაში უნდა გადაიჭრას პრაქტიკულად საკითხი, თუ რა ვუყოთ სანქციებს".

დასასრულ იდენმა განაცხადა, ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ჩემს დღევანდელ სიტყვაში გავაშუქე, მიზნად ისახავს მშვიდობიანობის შენარჩუნებას „ახლანდელ მოუსვენარ, მძიმე და კრიტიკულ მდგომარეობაში" (ადს).

◆ ◆ ◆

კონფლიქტი ნანკინისა და სამხრეთ-დასავლეთ დაჯგუფებას შორის

შანხაი, 19 ივნისი. შანხაიში გამომავალი იაპონური გაზეთები იუწყებიან რომ ნანკინისა და სამხრეთ-დასავლეთის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება ხენშაუში (ხუნანის პროვინციაში) ჩაიშალა. ნანკინის წარმომადგენელთა უმრავლესობა ნანკინში დაბრუნდა. ხენშაუში დარჩნენ მხოლოდ გენერალი ტან შენ-ჯი და საკანონმდებლო იუანის (პალატის) თავმჯდომარე სუნ ფო, რომელიც უკანასკნელ ცდებს აწარმოებს მიაღწიოს კომპრომისულ შეთანხმებას. ორივე მხარე განაგრძობს სამხედრო მოქმედებისათვის მზადებას.

სამგზავრო სარკინიგზო მოძრაობა უჩანის (ხუბეი)—ჩანშას (ხუნანი) ხაზზე შეწყვეტილია, ვინაიდან დიდი რაოდენობით გადაჰყავთ ნანკინის ჯარები ხუნანში.

სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობებით გუანსის ჯარები სია ვეის სარდლობით 17 ივნისს კვლავ გადავიდნენ შეტევაზე ცოჩის რაიონიდან ხუნანის მიმართულებით და წაიწიეს წინ 71 კილომეტრზე. გუანსის მთელი არმია მობილიზებულია (ადს).

◆ ◆ ◆

სენატმა მიიღო კანონპროექტი კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ

პარიზი, 18 ივნისი. სენატმა უმნიშვნელო შესწორებით მიიღო კანონპროექტი კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ. (ადს).

◆ ◆ ◆

შვეციის ახალი მთავრობა

სტოკჰოლმი, 19 ივნისი. დღეს ჩამოყალიბდა შვეციის მინისტრთა ახალი კაბინეტი აგრარული პარტიის („გლეხთა კავშირის") ლიდერის პერსონის მეთაურობით. კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ აგრარული პარტიის 6 წევრი და 6 [illegible] სპეციალისტი, რომელნიც არ ეკუთვნიან პოლიტიკურ პარტიებს (ადს).

◆ ◆

ჩრდილო-ჩინეთის სტუდენტთა გაფიცვა

ბეიპინი, 19 ივნისი. ხებეი-ჩაჰარის პოლიტიკური საბჭოს ბრძანებამ ჩრდილო-ჩინეთის სტუდენტებს შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩრდილო-ჩინეთის ყველა დიდი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა, ვიდრე ბრძანება გაუქმებული არ იქნება (ადს).

ამხ. ორჯონიკიძის ბრძანება

მოსკოვი, 19 ივნისი. მძიმე მრეწველობის სახკომის ამხ. ორჯონიკიძის ბრძანებით, გადაყენებულია მუშაობიდან, როგორც თავისი დანიშნულებისათვის სრულებით შეუფერებელი, გორკის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტალურგის ქარხნის დირექტორი ამხ. ტ. ბ. ბოგდანოვი. ქარხნის დირექტორის მოვალეობათა დროებითი შესრულება დაეკისრა მთავარ ინჟინერსა და ქარხნის დირექტორის მოადგილეს ამხ. იუზეფოვიჩს. (ადს)

ბედნიერ ბავშვთა ზეიმი

17 ივნისს ოპერის სახელმწიფო თეატრს არაჩვეულებრივი სტუმრები ეწვივნენ. ტფილისის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ სახეგაბრწყინებული, წითელყელსახვევიანი, საკლასო ფორმებში გამოწყობილი ბიჭები და გოგონები.

სინათლით გაჩირაღდნებული თეატრის დიდი დარბაზი გაივსო ბავშვებით. სრულ 7 ნახევარ საათზე აიხადა ფარდა. ბავშვთა ჟრიამული მიწყნარდა. მათი ყურადღება სცენისაკენ მიიმართა.

იქ მაგიდას მოუსხდნენ ალკკ საქ. ცენტრალური და ტფილისის კომიტეტთა ხელმძღვანელი მუშაკები, „ნორჩი ლენინელის" საუკეთესო ბავშვკორები და მეგობრები. მათ შორის ზის თმაშევერცხლილი მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე. ბავშვთა საყვარელი მწერალი, იგი ნორჩებთან ერთად ზეიმობს და ხარობს.

საზეიმო შეკრებას თავმჯდომარეობს საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ცქვიტინიძე. მას წითელი ყელსახვევი გაუკეთეს პიონერებმა. მათი აზრით, თავმჯდომარე პიონერის საპატიო ნიშანს უნდა ატარებდეს.

და აი პიონერის ყელსახვევიანი თავმჯდომარე მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის ბედნიერ ბავშვთა საზეიმო შეკრებას, მიძღვნილს „ნორჩი ლენინელის" ხუთი წლისთავისადმი.

პირველი სიტყვა გაზ. „ნორჩი ლენინელის" პ.-მგ. რედაქტორს ამხ. ლ. წერეთელს მიეცა.

მომხსენებელი ლაპარაკობს გაზეთის ნაყოფიერ მუშაობაზე და მის ნორჩ თანამშრომლებზე. იგი აღფრთოვანებული კითხულობს ამხ. ბერიას მისალმებას და აცხადებს: „ამხ. ბერიას მისალმება ჩვენ გვმატებს ენერგიას, რათა შემდეგში ვიმუშაოთ მთელი თავდადებით, ვიბრძოლოთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად რომ შევასრულოთ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების რკინისებური ხელმძღვანელის მითითებანი კომუნიზმის პრინციპებზე ბავშვთა აღზრდის საქმეში...

მომხსენებლის შემდეგ ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიან ნორჩი ორატორები. ვინ არიან ისინი? პიონერები, ოქტომბრელები, ჯერ კიდევ სრულიად პაწია ცქრიალა გოგონები და ბიჭუნები, თავის ტოლთა შორის მოწინავეები, ფრიადოსნები, გაზეთის საუკეთესო ბავშვკორები.

ნორჩი ორატორები ულოცავენ თავიანთ საყვარელ გაზეთს 5 წლისთავს და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს სწავლისა და პიონერული მუშაობის გაუმჯობესების მხრივ.

...და ყველანი მთელი გულით მადლობას უძღვნიან ულამაზესი საამური და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელს ამხ. სტალინს.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე კომკავშირის ც. კ-ის სახელით ამხ. ნ. ჩარკვიანი, „კომუნისტის", რედაქციის კოლექტივის სახელით ვ. მგალობლიშვილი, ტფ. განათლების განყოფილებიდან ამხ. გიორგაძე, ჟურნალ „პიონერის" რედაქტორი ამხ. მ. თომაძე, მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან ამხ. გ. კუპრაშვილი და სხვ.

საზეიმო სხდომაზე დააჯილდოვეს „ნორჩი ლენინელის" საუკეთესო ბავშვკორები პიონერის ფორმებით, შერჩეული საბავშვო ლიტერატურით და სხვა საჩუქრებით.

დასასრულ ტრიბუნაზე გამოდის ორდენოსანი გოგონა ეთერი გვანცელაძე. მას შეაქვს წინადადება ბავშვთა საზეიმო შეკრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ბავშვთა უსაყვარლეს მეგობარს ამხ. ლავრენტი ბერიას. ამ წინადადებას ბავშვები ოვაციებით და ტაშის გრიალით ეხმაურებიან. ეთერი კითხულობს მისასალმებელი დეპეშის ტექსტს. დეპეშის უკანასკნელ წინადადებას კვლავ სიხარულის ჟრიამული და ტაშის გრიალი ჰფარავს.

ნორჩი თაობის აგზნებული სიხარულისა და დაუშრეტელი ბედნიერების ზეიმი 11 საათზე დამთავრდა.

ალ. გვინჩიძე.

◆ ◆ ◆

აბრეშუმის პარკის დამზადება

ცნობები 15 ივნისისათვის (ცენტნერებში)

რაიონები:	გეგმით	შესრ. %
ტფილისი	56	5,3
ბორჩალო	55	5,3
ლუქსემბურგი	33	18,2
საგარეჯო	45	—
გორი	24	—
ხაშურის	13	—
კასპის	60	5
გურჯაანის	387	24,5
სიღნაღის	285	27,5
ლაგოდეხის	564	72,7
ყვარლის	798	12,4
თელავის	705	5
ჯულლის	640	18,4
ორჯონიკიძის	200	1,6
ჭიათურის	108	—
ჩხარის	434	20,2
ქუთაისის	2.014	65,1
ტყიბულის	56	—
ბაღდათის	351	28,5
სამტრედიის	2.072	51,5
წულუკიძის	1.565	44,2
ვანის	1.475	11,1
აბაშის	1.360	75,7
ცხაკაიას	1.120	51,4
ფოთის	144	47,1
მარტვილის	1.728	28,5
ზუგდიდის	1.998	54,2
ხობის	930	38,4
წალენჯიხის	799	12,9
ჩხოროწყუს	1.240	22
მახარაძის	209	15,8
ლანჩხუთის	1.728	45,4
ჩოხატაურის	1.554	5,9
ამბროლაურის	124	—
ცაგერის	208	—
აჭარის ასსრ	192	27,2
აფხაზეთის ასსრ	2.304	13,7
სულ რესპუბლიკაში	29.500	33,5

◆ ◆ ◆

გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს

სურამის კირის ქარხანამ 1936 წლის ექვსი თვის გეგმა 16 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა. ქარხანას 6 თვეში უნდა დაემზადებინა 4800,0 ტონა კირი, გამოუშვა კი 4921,0 ტონა, ანუ 102,5 პროცენტი. კირქვის მოპოვების გეგმა შესრულებულია 103,3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გეგმა — 1926-27 წლების ფასებში — შესრულებულია 103,2 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა [illegible] ვალდებულება, [illegible] წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულოს.

მ ზ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა

დაკვირვება აბასთუმნის ობსერვატორიიდან

აბასთუმანი, 19 ივნისი. აბასთუმნის ობსერვატორიამ დღეს მოახდინა დაკვირვებანი მზის დაბნელებაზე. საუცხოო მოწმენდილმა დილამ უზრუნველჰყო მეცნიერულ დაკვირვებათა გეგმის მთლიანად შესრულება.

ობსერვატორიის ტერიტორიაზე შეიკრიბა მრავალი მაყურებელი.

აბასთუმნის სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი

ხარაძე.

თვითმფრინავით — მზის დაბნელებაზე

არ ვიცი, ჩემი საათი სცდებოდა, თუ ასტრონომები შესცდნენ ვარაუდში. უფრო, რა თქმა უნდა, ჩემი საათის კეთილსინდისიერი მუშაობა იწვევს ეჭვს...

დილის 6 საათისათვის მზემ გააბარა ასტრონომიის მრავალრიცხოვანი მოყვარულთა გული. დილის 5 საათიდანვე ტფილისის ქუჩებს უჩვეულო სიხალისე დაეტყო. ახალგაზრდები და მოხუცები ჯგუფ-ჯგუფად გამოსულან მოედნებზე და [illegible] თუ სათვალეებით შეიარაღებულნი მზეს უცქერიან; უფრო ტემპერამენტიანი ენთუზიასტები კომკავშირული ხეივნისა და ფუნიკულიორისაკენ მიდიან.

ტაქსით აეროდრომისაკენ მივდივართ. [illegible] გაგვახსენდა ცნობილი პიესა—„მზის დაბნელება საქართველოში". ქალები და მოხუცები ფანჯრებზე იდგნენ, ზოგიერთები ქოლგით გამოსულიყვნენ.

— ვაა, მაშ ალო არ იქნება, რომ არ დაბნელდეს... იხუმრებდნენ ძველი ტფილისელები.

მზის დაბნელების დილას მშვენიერი ამინდი იყო.

თავდაცვა-ავიაქიმის აეროდრომზე თვითმფრინავი უკვე გამზადებულია ასაფრენად. მას უნდა გავყოლოდი მეც. ჰაერში ასვლის მიზანი, სხვებისაგან განსხვავებით, მე ერთი მქონდა—დავკვირებოდი, თუ როგორ გამოიყურებოდა მიდამო, ქალაქი, ტყე, ველი მზის დაბნელების მომენტში. თვითმფრინავის წინ რომ ფართო [illegible] გადაშლილიყო, საჭირო შეიქნა დიდ სიმაღლეზე ასვლა, და ჩვენი სასპორტო [illegible] ახალი ფილდერიც [illegible] წრეებით სულ მაღლა მაღლა ადიოდა.

მზის მთავარი ნაწილი გადაფარა. შავი ლაქა მზეზე თანდათან იზრდება და აგა, ნამგლის პირივით ვიწრო და მოლურჯო მზე საშინლად შევიწროებული მოჩანს. ქვევით ვერაფერს ვამჩნევთ: [illegible]

სხივებს ფერი უცვლიათ. თვითმფრინავზე საშინელი სიცივე ვიგრძენით. კავკასიონის ქედზე ჩამოღამდა. მოიპირქუშა კოჯორმა, ტფილისის მიდამოებს თითქოს რუხი ზეწარი გადააფარესო.

გავკვირდით: ჩვენს წინ შეეძინეთ მთვარე თვითმფრინავი, სწორედ ისეთივე, როგორიცაა „ჩვენი" ვანახულეთ. ვკითხეთ მეზობელს, ვაიმედ და ვატყობ, მასაც უკვირს. თვითმფრინავის პილოტს — ა. ჯიბლაძეს დილიდან სურათი და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა. ეს იყო ჩვენი თვითმფრინავის ჩრდილი, რომელიც ძალიან ჰგავდა ნამდვილ აპარატს. დიდი და ძალიან მკაფიო ფოტოგრაფიული სურათივით მოჩანდა თვითმფრინავი ძირს. შემდეგ გავიგეთ, რომ როცა თვითმფრინავის ჩრდილმა ცხვრის ფარაზე გადაიარა, ცხვარი დაფეთებულა, ძაღლები ჩრდილის გამოჰკიდებიან, ალბათ, ავტომობილი ეგონათ. მეცხვარეებიც შეფიქრიანებულიყვნენ, მაგრამ ამ დროის მოტორის ხმა გაიგონეს; შემდეგ ჩრდილს დიდხანს ადევნეს თვალი.

რამდენიმე წუთის განმავლობაში კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილი ჩაბნელებული იყო. ჩრდილო-დასავლეთისაკენ შავი ფერი გადაჰკვროდა, მიუხედავად მოწმენდილი ამინდისა, ხედვის რადიუსი 50 კილომეტრს არ აღემატებოდა.

მზის დაბნელების მთავარი ფაზის განვლის. სინათლემ მატება დაიწყო და საცივემაც იკლო.

თვითმფრინავი დაბლა დაეშვა.

მადლობის ღირსია თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ვ. გოთერაძე, რომელმაც სასარგებლო თაოსნობა გამოიჩინა და საშუალება მისცა გაზეთების წარმომადგენლებსაც. უფრო კარგად ენახათ ამ იშვიათი და გრანდიოზული მოვლენის სურათი მკითხველთათვის მოიმოქმედებების გასაზიარებლად.

დ. ლომთაძე

2.000 მ ე ტ რ ი ს ს ი მ ა ღ ლ ი დ ა ნ

19 ივნისის მზის დაბნელებისათვის ასტრონომებთან ერთად გაძლიერებით ემზადებოდნენ მფრინავები, რათა სტრატოსფეროდან უფრო ადვილად და უკეთესად შეესწავლათ მზის დაბნელების პირობები.

ღამე აეროდრომზე გავათიეთ, ავდექით დილის 4 საათზე. მოვამზადეთ თვითმფრინავი და სრულ 5 საათსა და 43 წუთზე ჰაერის სივრცეში შევიჭერით. ჩემთან იყვნენ [illegible] თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირელი მუშა პარუმბეკოვი. თან წავიღეთ გაშავებული ცელულოიდის ფირფიტა და ჯიბის ელექტროფარანი. მალე მივაღწიეთ 2000 მეტრ სიმაღლეს. საუცხოოდ ციოდა, [illegible] ჰორიზონტზე სქელი ბურუსი იდგა.

საათი მაჩვენებდა, რომ დაბნელების დაწყებამდის კიდევ იყო რამდენიმე წუთი.

7 საათსა და 25 წუთზე ფრთაზე გადაბრუნების ფიგურიდან მანქანა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გავიყვანე, დავაცქერდი მზეს და შევნიშნე, რომ სინათლემ იკლო.

მივმართე გაშავებულ ცელულოიდის ფირფიტას და უკვე სავსებით ნათელი გახდა, რომ მზის მოელვარე ბირთვს ზევითი მარჯვენა ნაწილიდან წინ [illegible] უკუნეთივით ბნელი მთვარე.

სიბნელე თანდათანობით ივსებდა ახლად გაღვიძებულ ქვეყანას. [illegible] თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა მზეს.

ვაი, გვაღამდება!.. მეუბნება ის ტელეფონით.

2000 მეტრის სიმაღლეზე ატმოსფერო [illegible]. სამხრეთით [illegible] ჰაერი, [illegible].

ზოგან მაინც არ მოვეშორდი, გავიარე, [illegible] დავუმორჩილე.

[illegible] და ნახევრად დაბნელებული მზე [illegible] კარებში ამოიჭრებოდა. ეს იყო 7 საათსა და 47 წუთზე. შემდეგ ბნელი წრის არე თანდათან მატულობდა. 8 საათი რომ 7 წუთი აკლდა, ნათელი მხოლოდ 1/10 ნაწილი დარჩა, მე ამ სურათს და წრეების შეფარდებას ვხედავდი ჩინებულად ვიხაზავდი.

ჩვეულებრივი ფრენის დროს მაღლიდან 150—200 კილომეტრის მანძილზე [illegible] ორჯერ, ახლა კი იმდენად ჩამობნელდა, რომ ყაზბეგი, კრწანისის ტბა, მტკვარი, ტფილისი და სამგორის ველის გორაკები ჩემს ქვეშ საგანგებო [illegible] აითქვიფნენ, [illegible] და თვითმფრინავის ცხვირი ფრთებიანად მოეჩვენება.

დაბნელებული წრის ძირა ნაპირზე მარცხნიდან მარჯვნივ [illegible] რკალი გადაიტყდება, რომელიც მზის შეკის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო.

8 საათსა და 27 წუთზე შავი რკალი გადაიწია მარჯვნივ ზევით. დაახლოებით 9 საათზე მთვარე და მზე გაუსხლტნენ ერთიმეორეს.

მოელვარე მზეს მთლიანად გაეხსნა კარი დედამიწისაკენ.

მფრინავი ვ. ენუქიძე

◆ ◆ ◆

ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის საღამო

მწერალთა კავშირმა ვოროშილოვის კლუბის დირექციასთან ერთად 16 ივნისს კლუბის საზაფხულო დარბაზში გამართა **ვ. მაიაკოვსკის** ხსოვნის საღამო.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა მწერალი **სიმონ წვერავა.**

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა პოეტი **სიმონ ჩიქოვანი.**

მომხსენებელმა ფართოდ დაახასიათა მაიაკოვსკის შემოქმედების ცალკეული ეტაპები: ანარქო-ბუნტარული, ფუტურისტული და, განსაკუთრებით, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდი, როდესაც **მაიაკოვსკი ჩამოყალიბდა ჩვენი ეპოქის უნიჭიერეს და საუკეთესო პოეტად.**

პოეტის ბიოგრაფიის გაცნობის დროს ამხ. **ჩიქოვანმა** განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მაიაკოვსკი მასალას და რა მაღალი პოეტური ხერხებით ამუშავებდა მას.

მოხსენების შემდეგ პოეტებმა ქართულ ენაზე წაიკითხეს მაიაკოვსკის ლექსები: „მთელი ხმით" — **ვ. გაფრინდაშვილმა;** „ჰორიკანა", „საბჭოთა პასპორტი" — **მიქ. პატარიძემ,** „მარცხენა მარში", „ვლადიმერ ლენინს" — **ვახო გორგაძემ,** „ესენინს" და „თეოდორ ნეტტე" — **დ. გაჩეჩილაძემ.**

ბიბლიოგრაფია

გრიგოლ ორბელიანი—წერილები

გრიგოლ ორბელიანს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის მწერლობის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის სახელთან არის დაკავშირებული არა მარტო ქართული რომანტიზმის განვითარება, [illegible] ბიც, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ისტორიული წარსულის შესასწავლად.

ქართული ლიტერატურული რომანტიზმი ძირითადად იმავე იდეურ და ემოციურ საფუძვლებზეა აგებული, რომელზედაც აგებული იყო ევროპული რომანტიზმი. და ამ მიმდინარეობაში გრ. ორბელიანის სახელი ფრიად თვალსაჩინო და ნათელია.

მაგრამ საკმარისია ოდნავ დავაკვირდეთ გრ. ორბელიანის პიროვნებას, რომ იგი მეტად საინტერესო ადამიანად მოგვეჩვენოს. ერთი მხრით ჩვენს წინაშე დგას ტიპიური რომანტიკოსი — [illegible] და თანამედროვეობის მაწყევარი პოეტი. მეორე მხრით [illegible] რა საერთო აქვს ორბელიანის ცრემლდაყრილ სტრიქონებსა და მის ულმობელ სამხედრო ლაშქრობათა შორის?

გრ. ორბელიანის წერილების რედაქტორს აკაკი გაწერელიას მეტად გულმოდგინე შრომა გაუწევია: გამოცემა და დადგენილი მთელი ის უდიდესი ბიოგრაფიული და გეოგრაფიული სახელებისა, რომელსაც გრ. ორბელიანის წერილები გვაძლევენ.

პირველ ტომში მოთავსებული წერილები საინტერესო მასალას გვაწვდიან „კავკასიის ილიადისა" (ასე უწოდა პლ. იოსელიანმა რუსეთის ბრძოლას დაღესტნის წინააღმდეგ, რომელსაც შამილი მეთაურობდა). რედაქტორი იძლევა შამილის ბრძოლების ისტორიის ცოდნის და დაკვირვების უნარის ცალკე ფაქტების ახსნასა და განმარტებაში. მკითხველი [illegible] ამ წერილებს და მის თვალწინ [illegible] ცოცხლად ეპიზოდები დიდი ბრძოლებისა.

გრ. ორბელიანის წერილებს ორი ფრიად მნიშვნელოვანი ღირსება აქვს: ერთი მხრით ისინი გვიხსნიან დიდი პოეტის შინაგან ცხოვრებას, ხოლო მეორე მხრით უხვად საინტერესო ისტორიული მასალით ავსებენ შამილის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას. ამ წიგნს დართული აქვს აკ. გაწერელიასვე წერილი: „გრიგოლ ორბელიანის წერილები როგორც ბიოგრაფიული მასალა".

წიგნს დართული აქვს აგრეთვე ამხ. გ. [illegible] წინასიტყვაობა, რომელშიაც მოცემულია გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების სოციალური ანალიზი.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და გამოცემულია რიგიანად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კორექტორულ შეცდომას.

გიორგი ნადირაძე.

◆

დისერტაციის დაცვა

21 ივნისს სოცჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის № 12), ნაშუადღევს 2 საათზე შესდგება სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიის ღია სხდომა მედიცინის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად საჯაროდ დაიცავს დისერტაციას **ასისტენტი [illegible]** თემაზე „საქართველოს ჩვილ ბავშვთა და სკოლამდე ასაკის ბავშვთა [illegible]". ოფიციალური ოპონენტები არიან პროფესორები [illegible] და [illegible].

◆

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„კომუნისტის" 20 ივნისის №-ში „პრავდის" წერილის („პროლეტარიატის დიდი მხატვარი") ბოლოდან მე-3 აბზაცში მეორე სტრიქონიდან წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „იგი სწერდა და ხელს უწყობდა ბოლშევიკური ლიტერატურის ტრანსპორტს, თანამშრომლობდა ბოლშევიკურ გაზეთში, შოულობდა ფულს და აწვდიდა პარტიის მუშაობისათვის შესახვედრ ადგილებს".

◆

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

ლენინიზმის კაბინეტი: საღამოს 8 საათზე კონსულტაცია შემდეგ საკითხზე: „სოციალისტური საკუთრების [illegible] სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში".

ალკკ კაბინეტი: საღამოს 8 საათზე ჯგუფობრივი კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და კომკავშირული აქტივისათვის რუსულ ენაზე, თემა: „საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ".

რუსთაველის თეატრი

1936—37 წლის სეზონი.

რათა მომავალ სეზონში თეატრმა მუშა მაყურებელს უკეთესი მომსახურება გაუწიოს, თეატრის დირექცია აცხადებს საწარმო დაწესებულებათა ხელმძღვანელების და ფაბრკარხადგილკომების საყურადღებოდ, რომ 1936/37 წ. სეზონში თეატრი **უშვებს მუდმივი წლიური ბილეთების სერიას შეღავათიან პირობებში.**

წლიური ბილეთების (ყველა წარმოდგენაზე დასწრების უფლებით) შეძენა შეიძლება სათანადო წინასწარი შეკვეთით. მუდმივი წლიური ბილეთების წიგნაკი შესდგება ცალ-ცალკე კუპონებისაგან და მისი გადაცემა ნებადართულია შემძენთა სურვილებისამებრ.

შეძენა ხდება წარმომადგენელთა მეშვეობით.

ტელეფონი № 3-19-63, 3-55-87.

50 4—1 დ ი რ ე ქ ც ი ა.

სახკინმრეწვის თეატრები	**ოქტომბერი** 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. მხატვრული ფილმი „მე დავბრუნდები"
	დამკვრელი სახ.-სახამ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი „ც ი რ კ ი" საზაფხ. დასაწყ. 9 საათზე და 11 საათზე
	კომკავშირელი სახ. სახამ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფრანგული ფილმი „უკანასკნელი მილიარდერი"
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	ახალი მუნჯი მხატვრ. ფილმი „[illegible]" ხმოვ. ჟურნალი „მოსკოვის მეტროპოლიტენი"
	საზაფხ. თეატრი დასაწყ. საღ. 9 ს.	ახალი ხმოვ. ფილმი „კ ო ნ დ უ ი ტ ი" მ. კასილის წიგნის მოტივების მიხედვით
	26 კომ. სახ. საზ.-საზამ.	საზაფხ. ხმოვანი ფილმი „შვიდი გაბედული" სახამთ.— ხმოვ. ფილმი „მფრინავები"
	კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი ფილმი „სამშობლო მოგვიწოდებს"
	ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.	1. კინონარკვევი — „საბჭოთა ყაზახები", 2) საბჭოთა ხელოვნება. 3) ჟურნალი № 23

თანახმად საქ. სამომხმარებლო კოოპერაციათა ცენტრალური კავშირის „ცეკავშირის" პრეზიდიუმის 1936 წ. 20/III—№ 166 დადგენილებისა,

ხდება ცეკავშირის ბორჯომის სარაიონთაშორისო ბაზის

ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა

ყველა ორგანიზაცია და პირი, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია ზემოაღნიშნული ბაზისადმი, ვალდებული არიან პრეტენზია წარუდგინონ ბაზის ლიკვიდკომს ქ. ბორჯომში არაუგვიანეს ამა წლის 5 ივლისისა, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

ლ ი კ ვ ი დ კ ო მ ი. 412

ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 1 ივნისიდან მიმდინარეობს მისივე მუშათა მომარაგების განყოფილების

ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა

პრეტენზიები აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ მიიღება ა/წ. 25 ივნისამდე.

მისამართი: პლეხანოვის ქ., № 22.

15106 ლ ი კ ვ ი დ კ ო მ ი.

მიიღება ხელისმოწერა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტის"

ყველა გამოცემაზე

1936 წლის ივლისისათვის და წლის ბოლომდე

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ხელისმოწერის ფასი: ერთი თვით მან.	ერთი თვით კაპ.	6 თვით, წლის ბოლომდე მან.	6 თვით, წლის ბოლომდე კაპ.
გ ა ზ ე თ ე ბ ი:					
„კომუნისტი"	ყოველდღიური	2	50	15	—
„პროლეტარი" (სომხ. ენ.)	„	2	50	15	—
„ენი-ქენდი" (თურქულ ენ.)	„	1	25	7	50
„ახალგაზრდა კომუნისტი"	„	2	50	15	—
„ნორჩი ლენინელი"	ექვსდღიური	—	25	1	50
ჟ უ რ ნ ა ლ ე ბ ი:					
„პარტიული მშენებლობა"	ყოველთვიური		50	3	—
„მშრომელი ქალი"	ყოველთვიური	—	40	2	40
„ბოლშევიკი"	„	—	50	3	—
„ახალგაზრდა ბოლშევიკი"	„	—	50	3	—
„პიონერი"	„	—	50	3	—
„ოქტომბრელი"	„	—	50	3	—
„კარმირ-წილერი" (სომხ. ენ.)	„	—	50	3	—
„ენი-ქიშვი" (თურქულ ენ.)	„	—	50	3	—

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილების დამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

უკანასკნელი ვადაა 27 ივნისი.

ყრუ-მუნჯთა სრ. საქ. საზოგ. („ვსეგრუზოგის") ფერწერისა და სამხატვრო წარმოება აცხადებს, რომ ამ წარმოების დირექტორის უფრ. მოადგილე არმენაკ არტემის-ძე ავეტიკოვის სახელზე გაცემული ყოველგვარი მოწმობები, მინდობილობები, ხელშეკრულებები და სხვა საბუთები ა/წ. 19 მაისიდან გაუქმებულია.

პრეტენზიები მიიღება 25 ივნისამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები აღარ იქნება მიღებული.

14986 დ ი რ ე ქ ც ი ა.

არტელ „რ ა ჭ ა ს" ესაჭიროება პურის დამტარებლები უ ბ ნ ე ბ შ ი.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობაში, დილის 9—12 საათ. რიყის ქ., № 3.

15017 გ ა მ გ ე ო ბ ა.

ადგილობრ. მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტყავმარაგგასაღება

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა მომარაგება ძირითადი ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, აგრეთვე მათი პროდუქციის გასაღება.

რეგისტრირებულია კიროვის სახელობის რაიონის ფინგანყოფილებაში 1936 წ. 9 მარტს № 5—202.

საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის საქართველოს კანტორაში № 98052.

მისამართი ბამბის რიგი № 3.

უფროსი ბარდაძე. მთავარი ბუღალტერი ბარანოვი. 67

ექიმი ი. [illegible]

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.

მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ. მისამართი: კამოს ქ. № 72.

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი [illegible], შვილები: ვერა, [illegible] ცოლ-შვილით, [illegible] ცოლით და [illegible] ლეკიშვილები იუწყებიან

ეფრემ მათეს-ძე ლეკიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 ივნისს დაბა [illegible]. 15014.

ახლო მეგობრები: გ. გვარჯალაძე, გ. [illegible], პ. წულუკიძე, ნ. [illegible], ს. [illegible], ალ. [illegible], ა. კოტია, გ. თურქია მწუხარებას გამოსთქვამენ

ინჟ. ალექსანდრე ქუშაშვილის

გარდაცვალების გამო. 14993.

გაუბედურებული დედა [illegible], მეუღლე თამარ შვილებით, ძმა პლატონ, [illegible] ოჯახებით, დები: ვარდო, [illegible], ცაცუკა სამსონის-ასული იუწყებიან რომ [illegible]

გრიშა გაბრიელის-ძე მდინარაძის

სამოქ. პანაშვიდი. 15008.

ცოლი დარო, შვილები: მიშა, [illegible], ოლღა და ნინო ქმრით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს ძვირფასი

სერგო ბაზიევის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 ივნისს 5 ს. ჩუბინიძის, 24. 15016.

შვილები: ოლია, ნინო, ნატაშა, სიმონ, ივანე, დები: დარიკო, ლუიზა, რძალი ვერა, სიძეები: გიორგი [illegible], ლეონიდე ნეიმანი შვილებით იუწყებიან

ივანე სიმონის-ძე ბებიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible], ზესტაფონში. 15010.

ელისაბედ და ანა [illegible], ნინო მაკაროვა, ელენე, სოსო ბოსიკაშვილები იუწყებიან საყვარელი ბიძის

კონსტანტინე დიმიტრის-ძე ნასიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ს. კალანდაძის (ყოფ. მატინოვის),

პირველი მთლიანი დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან ამავე დისპანსერის დირექტორის მოადგილის და [illegible] კომიტეტის მდივნის [illegible]

მზიულის

უდროოდ გარდაცვალებას. 14987.

რაფიელ, აგრაფინა, ქეთო, [illegible] და კიტო [illegible], თამარ და მარიამ ფოფხაძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ

ნიკოლოზ (კოლია) ნესტორის-ძე გორდეზიანის

გარდაცვალების გამო. 14975.

ვალიკო და ნატაშა [illegible] ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ჩვენი მეგობრის, ნიკოლოზ მატარაძის მამის

ბესარიონ კონსტანტინეს-ძე მატარაძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ოჩამჩირეში 21 ივნისს. 15012.

[illegible] ცოლ-შვილით, ვასილ ცოლ-შვილით, ნინო, ელენე ქმრით, მარიკა ქმარ-შვილით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი ბიძის

რაჟდენ ნიკოლოზის-ძე ჩუბინიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. [illegible] 21 ივნისს. 14977.

დამწუხრებული ცოლი ფატიმე, შვილები: ელიკო, აგრაფინა, კატო, ელენე, მარო, საშა, ანიკო, დათიკო, ქეთო, რძლები: მარუსია, ნატაშა, იუწყებიან

გიორგი მიქელის-ძე კოპალეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 ივნისს [illegible] (სამტრედია). 15020.

ტყავლოსი ამხანაგები: შალიკო ჩხეტია, ბეჟანია, ბარამია, მირცხულავა, კვარაცხელია, ჯოჯუა, ბერია, ურიდია, კოლია, ცაავა, გულორდავა, ლაგაძე მწუხარებით იუწყებიან მტკიცე ბოლშევიკის, ქუთაისის ქალაქკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის

პორფილე ჯანჯალიას

გარდაცვალებას. 15023.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ტიტიკო, დედა [illegible] ცქიტიშვილისა, [illegible] იუწყებიან, რომ 21 ივნისს, 1 საათზე [illegible] სასაფლაოზე დანიშნულია [illegible]

ლუბა იაკობის-ასულ ლოლობერიძის

სამოქ. პანაშვიდი. 15005.

დამწუხრებული ცოლი აგრაფინა, შვილი ჯემალ, ცოლისდები: ოლია, [illegible], ნუცა, ალისა, ცოლისძმები: [illegible] იუწყებიან

კლიმენტი ნიკოლოზის-ძე ლორთქიფანიძის

მოულოდნელ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ბათუმში. პუშკინის, 34. 15003.

ბებია მატო ქავთარაძისა, მამიდები: [illegible] ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი

ბაბულია გრიშას-ასულ ქავთარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ძველსენაკში. 15013.

ვლადიმერ [illegible] შვილებით: [illegible], ელიკო, [illegible], მიშა, [illegible], ალიოშა, მარიამ, რძლებით: [illegible] და [illegible] მწუხარებით იუწყებიან საყვარელი

[illegible] არჯევანიძის

დაკარგვას. 14947.

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ. 8501